

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N25, 22.08.2001, მუხ. 107) 129¹⁵ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. 2010 წლის 15 იანვრიდან 2010 წლის 1 ივნისამდე საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო რეგისტრაციისას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნაცვლად გაიცემა საქართველოს მოქალაქის პირადობის დროებითი მოწმობა, რომლის იურიდიული ძალა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის იდენტურია, გარდა საარჩევნო იმ მიზნისა, რომელიც უკავშირდება აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენებას. საქართველოს მოქალაქის პირადობის დროებითი მოწმობის გაცემას უზრუნველყოფს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2009 წლის